

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს

2011 წლის 28 დეკემბრის სხდომის

ოქმი №19

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის 36 წევრიდან, ესწრებოდა 24. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილი დღის წესრიგი კენჭის ყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – სტუ-ს „საერთაშორისო პროგრამებისა და პროექტების მომზადების ტრენინგ ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №572 – მომსახურებელი პროფ. თამარ ბერბერაშვილი;

პროფ. თამარ ბერბერაშვილი: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში იქმნება „საერთაშორისო პროგრამებისა და პროექტების მომზადების ტრენინგ ცენტრი“, რომელიც მოქმედებს თვითდაფინანსების პრინციპით. ის შეამდგომლობს უნივერსიტეტის წინაშე შეკვეთებისა და შესაბამის ხელშეკრულებების გაფორმების მიზნით, მისი დებულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად. ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიზანია დაეხმაროს პროფესიონალებს – მეცნიერებს, ინჟინრებს და ტექნიკურ ექსპერტებს გაიუმჯობესონ სამეცნიერო და საინჟინრო დოკუმენტაციის ინგლისურად მომზადების, აგრეთვე ინგლისურ ენაზე პრეზენტაციების, ინტერვიუების წარმართვის უნარ-ჩვევები.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის პირველი საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ო მ ა მ ა რ ა ტ ი ვ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 28 დეკემბრის №19 სხდომაზე პროფ. თამარ ბერბერაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს „საერთაშორისო პროგრამებისა და პროექტების მომზადების ტრენინგ ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2011 წლის 16 დეკემბრის დადგენილება №572.

წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა საკითხი სტუ-ს „საერთაშორისო პროგრამებისა და პროექტების მომზადების ტრენინგ ცენტრის“ შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი – სტუ-ს „ელექტროდინამიკური ინჟინერინგის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №569 – მომსხუნებელი პროფ. ფირან კობიაშვილი;

პროფ. ფირან კობიაშვილი: “ელექტროდინამიკური ინჟინერინგის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი” მოქმედებს თვითდაფინანსების პრინციპით. მისი მიზანია უნივერსიტეტის საინჟინრო, სამეცნიერო და სასწავლო პოტენციალის ამაღლება და აქტუალური პროექტების განხორციელება ელექტროდინამიკური ინჟინერინგის ფართო სპექტრში. სამეცნიერო მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ სტუ-ს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტურანტურის სტუდენტები.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეორე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ო მ ა მ ა რ ა ტ ი ვ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 28 დეკემბრის №19 სხდომაზე პროფ. ფირან კობიაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს „ელექტროდინამიკური ინჟინერინგის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს 2011 წლის 16 დეკემბრის დადგენილება №569.

წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა საკითხი სტუ-ს „ელექტროდინამიკური ინჟინერინგის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი – სტუ-ს „საინჟინრო ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის” შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. – მომხსენებელი პროფ. მერაბ ჯიბლაძე;

პროფ. მერაბ ჯიბლაძე: საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში იქმნება თვითდაფინანსებაზე მყოფი საფაკულტეტო „მანქანათმშენებლობის მოწყობილობების ავტომატიზებული მართვის სისტემების სამეცნიერო-საინჟინრო ცენტრი“. ცენტრის მიზანია უნივერსიტეტის საინჟინრო, სამეცნიერო და სასწავლო პოტენციალის ამაღლება; სტუდენტების მოზიდვა აქტიურ სამეცნიერო-კვლევით და სამეცნიერო-საწარმოო საქმიანობაში და, რაც მთავარია, მოხდება ფიზიკის დეპარტამენტის ბაკალავრიატთა, მაგისტრანტთა და დოქტორანტთა აქტიური ჩართვა საკვლევ-სამეცნიერო, საპროექტო და საინჟინრო საქმიანობაში.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მესამე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 28 დეკემბრის №19 სხდომაზე პროფ. მერაბ ჯიბლაძემ წარმოადგინა საკითხი სტუ-ს „საინჟინრო ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის” შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ.

წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა საკითხი სტუ-ს „საინჟინრო ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის” შექმნის შესახებ. ასევე დამტკიცდა ამ ცენტრის დებულება.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხი – ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ნუგზარ წერეთლის მოხსენებითი ბარათის შესახებ – მომხსენებელი პროფ. ნუგზარ წერეთელი;

პროფ. ნუგზარ წერეთელი: სტუ-ს ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ტექნიკური პერსონალი, მძიმე სამუშაო პირობებიდან გამომდინარე (მომწამლავი, ფეთქებადი, აალებადი ნივთიერებები, მაღალი ძაბვა, მაღალი ტემპერატურა და სიცოცხლისათვის მავნე სხვა ფაქტორები), მუდამ სარგებლობდა გარკვეული შედავათებით. გთხოვთ, აღდგეს აღნიშნული ტრადიცია და გამონაკლისის სახით ჩვენს ფაკულტეტზე მომუშავე ტექნიკური პერსონალისათვის დაწესდეს შედავათიანი სამუშაო გრაფიკი კვირაში 35 საათის ოდენობით.

სპიკერი: ამ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ასეთია: ჩვენი რეგლამენტის გათვალისწინებით, შეგვიძლია მივმართოთ რეკომენდაციით ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და აკადემიურ საბჭოს, რათა იმსჯელონ ამ საკითხზე და მიიღონ გადაწყვეტილება.

ბ ა დ ა ო ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 28 დეკემბრის №19 სხდომაზე პროფ. ნუგზარ წერეთელმა წარმოადგინა მოხსენებითი ბარათი ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე მომუშავე ტექნიკური პერსონალისათვის, მძიმე სამუშაო პირობებიდან გამომდინარე, შეღავათიანი სამუშაო გრაფიკი დაწესების შესახებ (კვირაში 35 საათის ოდენობით).

წარმომადგენლობითმა საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის დადებითად გადაწყვეტის მიზნით ერთობლივად იმსჯელოს აკადემიურმა საბჭომ და ადმინისტრაციამ.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეხუთე საკითხი – სტუ-ს 2012 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცება – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი;

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: წარმოგიდგინო 2012 წლის ბიუჯეტის პროექტს, რომელიც საბჭოს წევრებს გადმოგეზავნათ ელექტრონული ვერსიის სახით, ასევე მოგახსენებთ, რომ საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა მუდმივმოქმედმა კომისიამ განიხილა და იმსჯელა აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით. თუ გაქვთ კითხვები, მზად ვარ გიპასუხოთ.

პროფ. როინ იმედაძე: საფაკულტეტო ბიუჯეტთან დაკავშირებით მაქვს მოსაზრება. მოგეხსენებათ, რომ ყველა ფაკულტეტზე ინდივიდუალური მიდგომა და სხვადასხვა რიცხვებია ხარჯების დაგეგმარების კუთხით, ჩემი აზრით კი ერთნაირ პირობებში უნდა ხდებოდეს ამ ყველაფრის რეგულირება და კონტროლი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: ვერ დავეთანხმები, რომ ერთნაირ პირობებში უნდა ხდებოდეს ფაკულტეტების ბიუჯეტის გაწერა, ასევე ერთი ნორმატივის შემუშავებით და მისი დაგეგმარებითაც ვერ ვიხელმძღვანელებთ, რადგან ფაკულტეტებზე სხვადასხვა სიტუაციაა სტუდენტების რაოდენობის, შემოსავლებისა და ხარჯების მხრივ. აქვე გეტყვით, რომ ფაკულტეტების ბიუჯეტის გაწერა ხდება დეკანებთან შეთანხმების შედეგად.

პროფ. დავით ჯაფარიძე. შეიძლება ნორმატივები სხვადასხვა იყოს, მაგრამ ისინი წინსასწარ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს წარმომადგენლობითმა საბჭომ.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: გეთანხმებით, ბატონო დავით, მომდევნო წელს გათვალისწინებული იქნება თქვენი შენიშვნა.

პროფ. აგული სოსხაძე: ქალბატონო ქეთევან, როდესაც საფინანსო კომისიაზე შევიკრიბეთ, მაშინაც მოგახსენეთ პირველი კორპუსის უკანა ფასადზე არსებული ორსართულიანი მიშენების შესახებ, რომელშიც არის ექვსი აუდიტორია და იმყოფება სავალალო მდგომარეობაში. ძალიან გთხოვთ, იქნებ ბიუჯეტში გაითვალისწინოთ თანხა, რომელიც მის შესაკეთებლად იქნება განკუთვნილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: ბატონო აგული, გეტყვით, რომ პირველი კორპუსის დიდი ნაწილი არის თავისუფალი, სადაც შეგიძლიათ გადაიტანოთ დაზიანებულ ტერიტორიაზე არსებული ლაბორატორიები. იმ დრომდე, სანამ გამოცხადდება ტენდერი და მოხდება მათი შეკეთება.

პროფ.ნოდარ ქაჯაია: ქალბატონო ქეთევან, გამომდინარე იქიდან, რომ პირველი იანვრიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი იცვლის სტატუსს, ლაბორანტების ანაზღაურებასთან დაკავშირებით ბიუჯეტში არის თუ არა თანხა გამოყოფილი? ასევე მაინტერესებს მომავალში იგეგმება თუ არა ხელფასების მატება და ბონუსები?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: ლაბორანტებთან დაკავშირებით გეტყვით, რომ დაახლოებით ერთი კვირის წინ გამოვიდა ბრძანება, რომელსაც ხელს აწერს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და იურიდიული დეპარტამენტის უფროსი. ამ ბრძანების თანახმად, ყველა თანამშრომელს გაუგრძელდება ხელშეკრულება იმ პერიოდის განმავლობაში, სანამ არ დამთავრდება რეორგანიზაციის პროცესი. რაც შეეხება ხელფასების მატებას და ბონუსებს, მოგახსენებთ, რომ ამის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს ახლად არჩეული აკადემიური საბჭო.

სპიკერი: რამდენად სამართლიანი და ობიექტურია ის ფაქტი, რომ ფინანსური მდგომარეობით გათანაბრებული ვართ აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პროფესურა, მოწვეულ პროფესურასთან?

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: ფინანსური სხვაობა, წარმომადგენლობით საბჭოსთან შეთანხმების შედეგად, უნდა გადაწყვიტოს აკადემიურმა საბჭომ.

პროფ. დავით ჯაფარიძე: როგორც იქნა, ამდენი წლის თანამშრომლობის შემდეგ ადმინისტრაციამ პირველად შეძლო მიმდინარე რემონტებისა და

შესყიდვების პროგრამების წარმოდგენა. აქვე დავამატებ, რომ, პრაქტიკულად, ყველა სამუშაო, რაც უნდა ჩატარდეს უნივერსიტეტის მასშტაბით, გაწერილია ბიუჯეტში, მისასაღმებელია ის ფაქტი, რომ შემოსავლების ზრდის ტემპი 10%-ის ფარგლებში არ შემცირებულა, პირიქით, გაიზარდა. რაც შეეხება შენიშვნას, გეტყვით, რომ აქ წარმოდგენილი ბიუჯეტი არ არის სრულყოფილი, გადამუშავებას დაექვემდებარება მას შემდეგ, რაც რეალურად გადაწყდება რეორგანიზაციის საკითხი, ანუ ჩამოყალიბდება სამუშაო სტრუქტურა და საშტატო განრიგი. ჩვენს შენიშვნებს გადმოგცემთ წერილობითი სახით, რომელშიც ჩამოყალიბებულია საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის საერთო აზრი. მთლიანობაში ვფიქრობთ, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტი უნდა დავამტკიცოთ იმ სახით, როგორცაა მოცემული.

სპიკერი: მეც ვუერთდები ბატონი დავითის აზრს და მინდა კომისიის წევრებს დიდი მადლობა გადავუხადო გულწრფელი და კომპეტენტური მუშაობისათვის.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეხუთე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად დამტკიცდა.

ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №5

სტუ-ს 2012 წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ

საბჭო აღნიშნავს, რომ მიმდინარე წლის 16 დეკემბერს (წერილი №78) სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა სტუ-ს 2012 წლის ბიუჯეტის პროექტი, შედგენილი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის გ) პუნქტის და სტუ-ს 2012 წლის ბიუჯეტის შედგენის წესის დაცვით. ნაერთი და საფაკულტეტო ბიუჯეტების შემოსავლები და ხარჯები გაწერილია ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით.

სტუ-ს 2012 წლის ბიუჯეტი 2011 წლის ბიუჯეტთან შედარებით საკუთარი შემოსავლების ხარჯზე გაზრდილია 15.6%-ით.

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ უნივერსიტეტში ჩასატარებელ სარემონტო სამუშაოებზე და შესყიდვებზე გამოყოფილი ხარჯები გაწერილია პროგრამულად, რაც დადებით შეფასებას იმსახურებს.

საბჭოს მიაჩნია, რომ მიუხედავად მიღწეული დადებითი შედეგებისა, წარმოდგენილი ბიუჯეტი ხასიათდება ნაკლოვანებებით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბიუჯეტის პროექტს თან არ ახლავს საშემოსავლო ნაწილის ფორმირების ანალიზი და დასაბუთება. იგი ძირითადად ორიენტირებულია უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე. მასში არ არის ასახული თანამშრომლების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხები.

ბიუჯეტში დიდია ადმინისტრირების ხარჯების წილი, იგი დაგეგმილი შემოსავლების 32 %-ს შეადგენს. ადმინისტრაციაში დასაქმებულ თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება საერთო შრომის ანაზღაურების 17%-ს შეადგენს.

საბჭო განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ სტუ-ს ადმინისტრაციამ დღემდე ვერ გადაწყვიტა საფაკულტეტო ბიუჯეტების ნორმატიულ ბაზაზე დაგეგმვის საკითხი. ანალიზი აჩვენებს, რომ სამშენებლო ფაკულტეტზე ხარჯები დაგეგმილია საერთო შემოსავლების 72%, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე – 62%, სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე – 95%, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე – 69%, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე – 91%, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე – 63%, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე – 99%, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტზე – 48%.

საგულისხმოა, რომ სამშენებლო ფაკულტეტზე შრომის ანაზღაურების წილი საერთო შემოსავლებთან მიმართებაში შეადგენს 44%-ს, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე – 35%, სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე – 57%, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე – 67%, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე – 42%, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე – 60%, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტზე – 26%, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე – 38%.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სათანადო ანალიზის გარეშე 2011 წლის კორექტირებულ ბიუჯეტთან შედარებით 2012 წლის ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მოცულობის ზრდა გათვალისწინებულია 900 240 ლარით. ამ მხრივ მნიშვნელოვნად არის გაზრდილი ადმინისტრაციისა და ფაკულტეტების ბიუჯეტები. ადმინისტრაციის ბიუჯეტში შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება იზრდება 438 199 ლარით, სამშენებლო ფაკულტეტზე – 135 328 ლარით, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე – 252 165 ლარით, სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე – 264 841 ლარით, ქიმიური

ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე – 298 238 ლარით, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე – 260 556 ლარით, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე – 104787 ლარით, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე – 574 020.

აღნიშნულს ემატება ისიც, რომ სტუ-ში შრომის ანაზღაურების ხარჯების ზრდის პირობებში არ ხდება პროფესორ-მასწავლებლებისა და მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ზრდა. უფრო მეტიც უნივერსიტეტში დღემდე არ არის დანერგილი პროფესორ-მასწავლებელთა და მუშა-მოსამსახურეების წახალისების სისტემა, არ არის შექმნილი საპრემიო ფონდი, წარმომადგენლობით საბჭოში დასამტკიცებლად არ არის წარმოდგენილი ფონდის განკარგვის კრიტერიუმები და შესაბამისი დებულება, ეს მაშინ, როდესაც, წარმოდგენილი ბიუჯეტის ხარჯების გონივრული განაწილების შედეგად, სავსებით შესაძლებელია უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების და დამხმარე პერსონალის მატერიალური წახალისების ფონდში მიმართულ იქნეს მნიშვნელოვანი მოცულობის ფინანსები.

საბჭო წარმოდგენილი ბიუჯეტის ძირითად ნაკლად თველის იმ ფაქტს, რომ ბიუჯეტში ხელფასის და შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებისათვის ხარჯები არ არის გამაგრებული სათანადო საშტატო განრიგითა და მიზნობრივი პროგრამებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. დამტკიცდეს 2012 წლის სტუ-ს ნაერთი ბიუჯეტი (დანართი №1).

საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 36 386 243 ლარით.

მათ შორის:

1. სამეცნიერო გრანტები – 567 968 ლარი;
2. ფასიანი სწავლებიდან შემოსავალი – 33 799 375 ლარი;
3. ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავალი – 2 018 900 ლარი (ნაშთი – 180 000 ლარი, იჯარა – 548 900 ლარი, დეპოზიტი – 200 000 ლარი, სახელშეკრულებო თემებიდან და ცენტრებიდან შემოსავალი – 1 090 000 ლარი).

მუხლი 2. ხარჯვითი ნაწილი კლასიფიკაციის შესაბამისად განისაზღვროს 36 386 243 ლარით.

მათ შორის:

1. შრომის ანაზღაურება – 15 041 135 ლარი;
2. საქონელი და მომსახურება – 15 984 551 ლარი;
3. სუბსიდიები 1 041 991 ლარი;

4. სხვა ხარჯები – 1 127 000 ლარი;

5. არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია – 3 191 566 ლარი;

მუხლი 3. დამტკიცდეს სტუ-ს 2012 წლის ბიუჯეტის აღმინისტრირების ხარჯები (დანართი №2) – 11 948 027 ლარი.

მათ შორის:

1. შრომის ანაზღაურება – 1 714 800 ლარი;

2. საქონელი და მომსახურება – 6 849 236 ლარი;

3. სუბსიდიები – 1 041 991 ლარი;

4. სხვა ხარჯები – 877 000 ლარი;

5. არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია – 1 465 000 ლარი.

მუხლი 4. დამტკიცდეს სტუ-ს ფაკულტეტების 2012 წლის ბიუჯეტები (დანართი №3).

მათ შორის:

1. სამშენებლო ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 2 311 125 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 1 715 602 ლარით;

2. ენერგეტიკის და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 3 846 000 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 2 380 296 ლარით;

3. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 1 637 875 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 1 557 476 ლარით;

4. ქიმიური ტექნოლოგიის და მეტალურგიის ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 2 186 000 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 2 170 563 ლარით;

5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 3 622 125 ლარით, ხარჯვითი ნაწილი 2 499 519 ლარით;

6. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 1 156 375 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 1 057 591 ლარით;

7. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 10 596 750 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 5 123 748 ლარით;

8. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 8 443 125 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 5 346 553 ლარით.

სულ ფაკულტეტების მიხედვით საშემოსავლო ნაწილი განისაზღვრება 33 799 375 ლარით, ხარჯვითი ნაწილი – 21 851 348 ლარით.

მუხლი 5. დამტკიცდეს ადმინისტრაციის და ფაკულტეტების მიერ ბიუჯეტით განსაზღვრული ხარჯების შესაბამისად შემუშავებული სტუ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად შესასრულებელი სამუშაოების და შესყიდვების მიზნობრივი პროგრამები (დანართი №4).

მუხლი 6. ნება დაერთოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს სტუ-ს 2012 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში წლის განმავლობაში დაუცველი მუხლების მთლიანი ასიგნებების მიხედვით განახორციელოს ცვლილებები 7%-ის ფარგლებში.

მუხლი 7. სტუ-ს 2012 წლის ბიუჯეტის შედგენის წესის შესაბამისად, ფაკულტეტების მიერ მიღებული ჭარბი შემოსავლების 70% ღარჩეს მათ განკარგულებაში; ფაკულტეტების საბჭოების გადაწყვეტილებით, მიზნობრივი პროგრამების დასაფინანსებლად, 30% ადმინისტრაციის მიერ შემუშავებული საუნივერსიტეტო პროგრამების დასაფინანსებლად.

სტუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა (პროფ. ქ. ქოქრაშვილი):

1. უზრუნველყოს ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილების განუხრელი შესრულება.

2. ფაკულტეტების დეკანებთან ერთად, ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ყველა პარამეტრის შესაბამისად, შემუშავებული მიზნობრივი პროგრამებით დაგეგმილი სამუშაოების შესყიდვაზე ჩატარებული ტენდერების შედეგების მიხედვით, დაზუსტებული ნაერთი ბიუჯეტი დასამტკიცებლად წარუდგინოს წარმომადგენლობით საბჭოს 2012 წლის მარტში;

3. დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შესრულების პროცესში მიღებული ეკონომია მიმართოს საპრემიო ფონდში.

4. ეთხოვოს სტუ-ს რექტორს, პროფ. არჩილ ფრანგიშვილს;

ა) შესაძლებლად მოკლე ვადაში უზრუნველყოს უნივერსიტეტის მართვის სტრუქტურის და შესაბამისი საშტატო განრიგის შემუშავება და წარმომადგენლობით საბჭოზე დასამტკიცებლად წარმოდგენა.

ბ) ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით შექმნას უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და მუშა-მოსამსახურეთა წახალისების ფონდი, საპრემიო ფონდის განკარგვის კრიტერიუმები და დასამტკიცებლად წარუდგინოს საბჭოს.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეექვსე საკითხი – 2011 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ – მომხსენებელი პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი.

პროფ. ქეთევან ქოქრაშვილი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით წარმოგიდგინებ სსიპ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის“ 2011 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატან ცვლილებას, რაც გამოწვეულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 5 დეკემბრის №833 ბრძანებისა და 2011 წლის 5 დეკემბრის №11-1-20/15203 წერილის საფუძველზე და ითვალისწინებს „განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის სტიპენდიებისა და გრანტების მინიჭების პროგრამის“ პროგრამის – „პრეზიდენტის სტიპენდიები ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებს“ დამტკიცებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ბიუჯეტი ექვემდებარება გაზრდას 115 650 ლარით და განაწილდება ნაერთი ბიუჯეტის პრეზიდენტის სტიპენდიების გრაფის სტიპენდიების მუხლში.

სპიკერმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მეექვსე საკითხი. წარმოდგენილი საკითხი კენჭისყრის შედეგად დამტკიცდა.

ბ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 28 დეკემბრის №19 სხდომაზე პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი 2011 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა 2011 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილება, კერძოდ: გაიზარდოს ბიუჯეტი 115 650 ლარით და მისი განაწილება მოხდეს ნაერთი ბიუჯეტის პრეზიდენტის სტიპენდიების გრაფის სტიპენდიების მუხლში.

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახიკოძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახიკოძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

თამარ ბუზიაშვილი